საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თემურ გოგოხია</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გიზო უბილავას კანდიდატურა?
დიახ (circled) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თემურ გოგოხია

2024 წლის 30 მაისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გიზო უბილავას კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო გიზო უბილავამ.

კანდიდატთა შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე - მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2024 წლის 25 აპრილს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შეკვეთილ პროცედურაში მონაწილე ყველა, 14 კანდიდატი, მათ შორის - გიზო უბილავა, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 93 ქულა, რაც „კანონის“ 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 93%-ს შეადგენს.

„საბჭოს“ 2024 წლის 21 მაისის №1/23 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 3 კანდიდატი: ბადრი შონია, გოჩა ჯეირანაშვილი და გიზო უბილავა.

შესაბამისად, ,,კანონის" 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2024 წლის 30 მაისს ,,საბჭომ" ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებულ 3 კანდიდატთან დაკავშირებით, მათი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად, რომლის ფარგლებშიც მივიღე გადაწყვეტილება - **საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს გიზო უბილავას კანდიდატურა**, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით გავიდა მე-3 ადგილზე. ამდენად, როგორც აღმოჩნდა, გიზო უბილავა, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის დონის გათვალისწინებით, არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - ,,საბჭოს" სხვა წევრებმაც, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

თემურ გოგოხია